ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231163701**
თარიღი: **26/04/2023**

ადრესატი: ნინო ქობულაძე
პირადი ნომერი: 61001078829
მისამართი: ივ.ჯავახიშვილის ქ. #38. ბათუმი

განმცხადებელ ნინო ქობულაძეს

ქალბატონო ნინო,

2023 წლის 29 მარტის N19/01230883510-16 განცხადების პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია საქართველოს რკინიგზის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.16.01.005.322) საფეხმავლო ხიდის რეკონსტრუქციის პროექტთან დაკავშირებით სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (სააგენტო) პოზიცია, გაცნობებთ შემდეგს:

თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის შესაბამისად და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მიმდინარეობს კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს დადიანის ქუჩიდან თამარ მეფის გამზირის მიმართულებით საავტომობილო ხიდის მშენებლობის შესაძლებლობის შესწავლას. კვლევით წარმოსადგენი დასკვნის შესაბამისად, განისაზღვრება სატრანსპორტო ხიდის მშენებლობის მიზანშეწონილობა და მასთან დაკავშირებული სხვა დეტალები, მათ შორის სავარაუდო ზეგავლენა დაგეგმილ რეკონსტრუქციის პროექტზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით საბოლოო პოზიციის დაფიქსირებას მიზანშეწონილად მიიჩნევს მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ წარმოსადგენი კვლევის შედეგების შემდგომ და მის შესაბამისად.

თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სააგენტო არ არის განმცხადებლის მიერ საფეხმავლო ხიდთან მიმართებით დროებითი სარეკონსტრუქციო ღონისძიების გატარების წინააღმდეგი, ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი